



თბილისი კაპიტალი

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

25 მაისი 2026

რატი წიკლაური

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური
ბაზრების კვლევა

გეგა კახიანი

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური
ბაზრების კვლევა

გლობალური აქტივების მიმოხილვა


წყარო: ბლუმბერგი			
ჯამური უკუგება ლოკალურ ვალუტაში			
საფონდო ინდექსები	კვირა	თვე	წლის დასაწყისიდან
SP500 (აშშ)	0.9%	4.7%	9.2%
STOXX50 (ევროზონა)	3.3%	1.9%	3.9%
FTSE100 (ბრიტანეთი)	2.7%	-0.1%	5.4%
TOPIX (იაპონია)	0.7%	3.9%	14.2%
CSI300 (ჩინეთი)	-0.3%	0.9%	4.6%

წყარო: ბლუმბერგი			
10-წლიანი სამთავრობო ობლიგაციების შემოსავლიანობა, %			
რეგიონი	მიმდინარე	1 კვირის წინ	1 თვის წინ
აშშ	4.56	4.59	4.30
ბრიტანეთი	4.90	5.17	4.91
გერმანია	3.04	3.17	3.01
იაპონია	2.75	2.71	2.39
ჩინეთი	1.75	1.76	1.73

წყარო: ბლუმბერგი			
ნედლეულის ფასები			
ტიპი	მიმდინარე	1 კვირის წინ	1 თვის წინ
ბრენტი ნავთობი, \$/ბრლ	104	109	102
ოქრო, \$/უნცია	4509	4540	4740
ვერცხლი, \$/უნცია	76	76	78
სპილენძი, \$/მტ	13615	13503	13374
ალუმინი, \$/მტ	3720	3628	3671

აქტივთა კლასების პერფორმანსი


გასული კვირის 5 ყველაზე წარმატებული აქტივი



წყარო: ბლუმბერგი

გასული კვირის 5 ყველაზე წარუმატებული აქტივი

წყარო: ბლუმბერგი




კვირის პერფორმანსის მიმოხილვა

გასული კვირის მთავარი მოვლენა გლობალური ობლიგაციების მასობრივი გაყიდვები იყო, რაც ომით გამოწვეულმა ინფლაციის შიშმა, ნავთობის გაძვირებამ და ფისკალურმა რისკებმა განაპირობა. სწორედ ამიტომ მკვეთრად გაიზარდა ბრიტანული და გერმანული 10-წლიანი ობლიგაციების შემოსავლიანობა. პარალელურად, რისკიანი აქტივების მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან ბაზრებმა ჰორმუზის სრუტის გახანგრძლივებული ბლოკადის რისკი შეამცირეს და აშშ-ირანის შეთანხმების აღბათობა გაითვალისწინეს. ამან ბრენტის ტიპის ნავთობის მკვეთრი გაიაფება გამოიწვია, ხოლო STOXX50 და FTSE100 გაიზარდა, რადგან იაფმა ნავთობმა ინფლაციური წნეხი შეამსუბუქა და ენერგო-იმპორტიორ ევროპულ აქციებს დაეხმარა. ოქრო და ვერცხლი ოდნავ გაუფასურდა უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნის კლების გამო, თანაც მაღალმა შემოსავლიანობამ არამომგებიანი ლითონები ნაკლებად მიმზიდველი გახადა. გამონაკლისი ალუმინი იყო — ახლო აღმოსავლეთში მიწოდების შეფერხებით გამოწვეული ლოგისტიკური რისკების გამო მისი ფასი, ნავთობის გაიაფების მიუხედავად, გაიზარდა.

SP500-ის სექტორების პერფორმანსი


გასული კვირის მზარდი სექტორები



წყარო: ბლუმბერგი

გასული კვირის კლებადი სექტორები

წყარო: ბლუმბერგი



კვირის პერფორმანსის მიმოხილვა

SP500 დაახლოებით 0.9%-ით გაიზარდა. ლიდერობდნენ კომუნალური მომსახურების, ჯანდაცვისა და უძრავი ქონების სექტორები — სფეროები, რომლებიც იგებენ მაშინ, როცა ინვესტორებს აქციების ფლობა სურთ, მაგრამ უპირატესობას სტაბილურ ფულად ნაკადებს, დაცულ შემოსავლებსა და ნაკლებ ციკლურობას ანიჭებენ. ეს მაკროეკონომიკურ ფონს ემთხვევა: ომისა და ფისკალური რისკების გამო ინვესტორები მაღალი მერყეობის მქონე აქციებს მასობრივად არ ყიდულობდნენ. კომუნალურ სექტორს ხელოვნური ინტელექტის (AI) ინფრასტრუქტურისგან წამოსული ენერგო-მოთხოვნაც დაეხმარა, ჯანდაცვის ზრდა კი, წინა ვარდნის შემდეგ, სექტორის ბუნებრივი აღდგენა იყო. დაზარალებული სექტორები გეოპოლიტიკურ სურათს უფრო ნათელს ხდის. ენერგეტიკა ჩამორჩა, რადგან აშშ-ირანის პოტენციურმა შეთანხმებამ და ჰორმუზის სრუტის გახსნის მოლოდინმა ნავთობი გააიაფა. ამან ხელი შეუწყო ციკლურ სექტორს, რადგან საწვავის გაიაფება შინამეურნეობებზე წნეხსა და ინფლაციურ მოლოდინებს ამცირებს. კომუნიკაციები ინდექსს ჩამორჩა, რადგან მსხვილი კაპიტალიზაციის კომპანიები მაღალი შემოსავლიანობის ფონზე მოგების დაფიქსირების რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ამავდროულად, პირველადი მოხმარების სექტორი შემცირდა, რადგან ინვესტორებმა ნელი ზრდის მქონე დაცვითი აქციებიდან კაპიტალი გაიტანეს.

მაკრო-გეოპოლიტიკური მიმოხილვა


აშშ და ირანი შეთანხმებას უახლოვდებიან

აშშ-სა და ირანის ბოლოდროინდელი განცხადებები მიანიშნებს, რომ მხარეები დროებით შეთანხმებას უახლოვდებიან, თუმცა ის ჯერ საბოლოო არ არის. გავრცელებული ინფორმაციით, შეთავაზება ჰორმუზის სრუტის გახსნას, ზავის დაახლოებით 60 დღით გახანგრძლივებას, ირანისთვის ნავთობის გაყიდვის უფლების მიცემას და უფრო ფართო ბირთვულ შეთანხმებაზე მოსალაპარაკებელი ფანჯრის შექმნას ითვალისწინებს. ვაშინგტონის განცხადებით, ირანი პრინციპულად დათანხმდა მაღალგამდიდრებული ურანის ჩამორთმევას, სანქციების შემსუბუქება კი პირობების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, თეირანს ეს პირობები არ დაუდასტურებია და კვლავ ისეთ დათმობებს ითხოვს, როგორიცაა გაყინული აქტივების განბლოკვა. ტრამპმა აღნიშნა, რომ შეთანხმებას არ იჩქარებს და აშშ-ის ბლოკადა მის საბოლოო გაფორმებამდე შენარჩუნდება. ბაზრების რეაქცია მყისიერი იყო – ბრენტის ფასი მკვეთრად დაეცა, რადგან ინვესტორებმა ჰორმუზის სრუტის გახანგრძლივებული ბლოკადის რისკი შემცირებულად შეაფასეს.



მაისში აშშ-ის კომპოზიტური ინდექსი აპრილთან შედარებით უცვლელია

S&P Global-ის წინასწარი მონაცემებით, მაისში აშშ-ის კომპოზიტური ინდექსი, წინა თვესთან შედარებით, უცვლელი დარჩა და 51.7 შეადგინა. ბიზნესაქტივობის ზრდამ მაისში, წლის დასაწყისთან შედარებით, ზომიერი ტემპი შეინარჩუნა, რადგან წარმოების სექტორის გაუმჯობესებული მაჩვენებელი მომსახურების სექტორის სისუსტემ გადაფარა. წარმოების ინდექსმა 55.3 შეადგინა (პროგნოზი: 53.5, წინა: 54.5), ხოლო მომსახურების ინდექსი 50.9-მდე შემცირდა (პროგნოზი: 51.2, წინა: 51.0). ომით გამოწვეული მიწოდების შეფერხებებისა და ენერგომატარებლების მკვეთრი გაძვირების ფონზე, საწარმოო დანახარჯები მაისში ყველაზე სწრაფი ტემპით (2022 წლის ბოლოს შემდეგ) გაიზარდა. ამან არა მხოლოდ გაყიდვების კლება და სამუშაო ადგილების მასობრივი დაკარგვა გამოიწვია, არამედ გასაყიდი ფასების ინფლაცია 2022 წლის აგვისტოს შემდეგ უმაღლეს ნიშნულამდე აწია.



კვირის მთავარი ამბავი

აპრილი გლობალური მომენტუმ-აქციებისთვის საუკეთესო თვე იყო

ხელოვნური ინტელექტის ბუმს მომენტუმ-აქციების ინვესტორებისთვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში უდიდესი მოგება მოაქვს. ირანის ომით გამოწვეული ეკონომიკური შენელების შიშის მიუხედავად, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული აქციები ზრდას მაინც განაგრძობენ.

მარტის ბოლოდან MSCI-ის გლობალურმა მომენტუმ-ინდექსმა MSCI-ის ფართო გლობალურ საფონდო ინდექსს 17 პროცენტული პუნქტით აჯობა. Bloomberg-ის 1991 წლიდან არსებული მონაცემებით, ეს ამ ინდექსის ისტორიაში საუკეთესო ორთვიანი უპირატესობაა.


ოპტიმისტები თვლიან, რომ AI აუიოტაჟი ბაზრის ლიდერებში კაპიტალის მოზიდვას კვლავ გააგრძელებს. თუმცა, ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი მკვეთრი ზრდა საგანგაშო სიგნალია: ერთი და იმავე აქციებში ინვესტორების გადამეტებული კონცენტრაცია ბაზარს მოწყვლადს ხდის. ინფლაციის მატების გამო FED-ის მიერ პოლიტიკის გამკაცრებამ ან კომპანიების მოგების კლებამ შესაძლოა ბაზრის მკვეთრი შემობრუნება გამოიწვიოს.

„მომენტუმის ტრენდი მერყეობის ფონზე კიდევ რამდენიმე თვეს გაგრძელდება, სანამ კულმინაციას მიაღწევს,“ — აცხადებს ჰეტ-ფონდ Lotus Asset Management-ის საინვესტიციო დირექტორი ჰაო ჰონგი. — „ინფლაციური მოლოდინების ზრდის შემთხვევაში, FED-ს პოლიტიკის მკვეთრად გამკაცრება მოუწევს, რაც ამ სტრატეგიას შეაჩერებს“.

ტექნოლოგიურ აქციებში კაპიტალის მუდმივმა დინებამ მომენტუმი წელს წამყვან გლობალურ სტრატეგიად აქცია — ინვესტორები ეკონომიკურ რისკებს აიგნორებენ და AI ლიდერების ტალღას მიყვებიან.



„ეს სარისკოა — ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში „ბუშტები“ იბერება, AI აქციები კი მაკროეკონომიკურ ფონს საერთოდ არ ითვალისწინებენ,“ — ამბობს ჰეტ-ფონდ Ten Cap Investment-ის პორტფელის მმართველი იუნ ბეი ლიუ. მისივე პროგნოზით, მიუხედავად იმისა, რომ ომის დასრულება განწყობებს დროებით გააუმჯობესებს, აშშ-ის ეკონომიკის შენელება მომდევნო ექვს თვეში კომპანიების მოგებაზე მაინც უარყოფითად აისახება.

სხვაობა MSCI ACWI(\$)-ის მომენტუმ აქციებსა და ფართო ინდექსს შორის, თვიური უკუგება, %





აქციები ყურადღების ცენტრში

IonQ-ის აქციები 27.5%-ით გაიზარდა, რადგან სამთავრობო დაფინანსების შესახებ სიახლეებმა კვანტური გამოთვლების მთლიანი სექტორი წაახალისა. კომპანია სარგებლობს ინვესტორთა მზარდი ინტერესით მოწინავე გამოთვლითი ინფრასტრუქტურისა და პრობლემების გადაჭრის მძლავრი ტექნოლოგიების მიმართ. ამასთან, ფასის ზრდას ხელს უწყობს მოლოდინი, რომ კვანტური კომპიუტერები მომავალში სხვა კრიტიკულ სფეროებშიც წარმატებით გამოიყენება.



D-Wave Quantum-ის ფასმა გასულ კვირას 46.2%-ით მოიმატა მას შემდეგ, რაც აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტთან 100 მილიონი დოლარის დაფინანსებაზე განზრახვის წერილი გააფორმა. აქციების ზრდაზე დადებითად მოქმედებს კვანტური ტექნოლოგიების გარშემო არსებული აუიოტაუი, სახელმწიფოს მხარდაჭერა და ახალი თაობის სისტემების შექმნისკენ სწრაფვა.

Dell Technologies 24.0%-ით გაიზარდა, რადგან AI-სერვერებზე მოთხოვნის ოპტიმიზმის ფონზე, ანალიტიკოსებმა კომპანიის სამიზნე ფასი გაზარდეს. Dell იგებს კორპორაციების მიერ AI ინფრასტრუქტურაში — განსაკუთრებით მონაცემთა ცენტრების სერვერებში, მეხსიერების სისტემებსა და აპარატურაში — ჩადებული უზარმაზარი ინვესტიციებით. კომპანიის ზრდის მთავარ მამოძრავებლად სწორედ AI-სერვერები იქცა, რადგან ბიზნესები და ქლაუდ-პროვაიდერები საკუთარ გამოთვლით სიმძლავრეებს მუდმივად აძლიერებენ.



Arm Holdings 46.1%-ით გაძვირდა, რაც Nvidia-სთან დაკავშირებულმა ძლიერმა ოპტიმიზმმა და მონაცემთა ცენტრების სექტორის უწყვეტმა ზრდამ განაპირობა, რამაც თავის მხრივ AI-სა და ნახევარგამტარების აქციებიც აწია. Arm-ის წარმატებას სმარტფონების, სერვერების, AI მოწყობილობებისა და მონაცემთა ცენტრებისთვის ენერგოეფექტური ჩიპების დიზაინზე მზარდი მოთხოვნა განაპირობებს.

კვირის კალენდარი

მოახლოებული შედეგები

დღე	ბაზრის გახსნამდე	ბაზრის დახურვის შემდეგ
ორშაბათი		
სამშაბათი	AUTOZONE [AZO] ELBIT SYSTEMS [ESLT]	ZSCALER INC [ZS]
ოთხშაბათი	PDD HOLDINGS [PDD] DICKS SPORTING GOODS [DKS]	SNOWFLAKE [SNOW] MARVELL [MRVL] SALESFORCE [CRM] SYNOPSYS [SNPS]
ხუთშაბათი	PHOTRONICS [PLAB]	COSTCO [COST] DELL [DELL]
პარასკევი		

ეკონომიკური კალენდარი

ინდიკატორი	დღე	მოლოდინი	წინა
<u>Chicago Fed National Activity Index</u>	სამშაბათი	-	-0.2
<u>Fed Logan Speech</u>	ოთხშაბათი	-	-
<u>MBA 30-Year Mortgage Rate</u>	ოთხშაბათი	-	6.56%
<u>Core PCE Price Index MoM</u>	ხუთშაბათი	0.3%	0.3%
<u>Personal Income MoM</u>	ხუთშაბათი	0.4%	0.6%
<u>Personal Spending MoM</u>	ხუთშაბათი	0.5%	0.9%

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. დოკუმენტში მოცემული არცერთი დებულება არ განიმარტება როგორც ოფერტი ან მოწვევა ოფერტზე ნებისმიერი აქტივის ან/და ფასიანი ქაღალდის ყიდვასთან ან/და გაყიდვასთან დაკავშირებით და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულების გაფორმებისთვის ან ვალდებულებების აღებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან, ფლობასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და ფინანსურ, საგადასახადო, სამართლებრივ ან/და სხვა სახის შესაბამისობის შეფასებას (due diligence). დოკუმენტის თითოეული მიმღები უნდა აცნობიერებდეს, რომ წინამდებარე კვლევის გამოყენების შემთხვევაში თიბისი კაპიტალი არ არის პასუხისმგებელი კვლევით სარგებლობასთან დაკავშირებულ შედეგებზე და რეკომენდებულია, რომ თითოეულმა მიმღებმა დოკუმენტში გახსნილ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და დეტალური შეფასება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ დოკუმენტის მიმღების პირადი შეხედულებითა და დისკრეციით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა მონაცემი ან/და ინფორმაცია წარმოადგენს მესამე მხარის წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და თიბისი კაპიტალი არ იღებს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას მათ სისრულესთან, სისწორესთან და სიზუსტესთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ფინანსური მონაცემი, პროგნოზი თუ მოდელი ეფუძნება მესამე პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. თიბისი კაპიტალი არ იძლევა რაიმე სახის პირდაპირ ან ნაგულისხმევ გარანტიას მათ სიზუსტეზე, სისრულესა და გონივრულობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოო ანალიზად ან რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს თიბისი კაპიტალისგან დამოუკიდებლად და მისი გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ რაიმე სახის ვალდებულება, განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომზადარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მარკეტინგულ მიმართებაში. ნებისმიერი სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტობრივი შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდეს ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამატებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულებას. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე, თუმცა არსებული საუკეთესო სტანდარტების დაცვით, თიბისი კაპიტალს ჩამოყალიბებული აქვს სათანადო პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ მომსახურების შესრულების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. მოცემული დოკუმენტი არის მკაცრად კონფიდენციალური. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველაზე პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ რომელიმე ვალდებულებიდან გამომდინარე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე სახით გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე რაიმე ქმედების განხორციელებას ან/და უმოქმედობას.



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge